სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05.04/225

ქ. თბილისი 5 სექტემბერი 2018

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტში დავით კაპანაძის პროფესორად მოწვევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის _ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის უფროსის, პროფ. დავით ნატროშვილის მოხსენებითი ბარათის 26-06/18 №01-09-33/3451და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 5 სექტემბრის № 01-05-02/18 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტში მოწვეულ იქნეს დავით კაპანაძე პროფესორის თანამდებობაზე 400 საათიანი დატვირთვით ახალი სასწავლო წლიდან 12 თვით. ხელფასი- 1200 ლ.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ს. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე